პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 8
(3238)

1967 წ.
11 იანვარი,
ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების
კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций
Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის
23-ე წელი



ჩვენი რესპუბლიკის ნიჭიერმა ჩოგბურთელმა ა. ივანოვამ ნამდვილი სპორტული გმირობა ჩაიდინა ინდოეთის ღია ჩემპიონატში. იგი პირველი იყო ერთეულთა, წყვილთა და შერეულ წყვილთა ასპარეზობაში. აღსანიშნავია, რომ ინდოეთის ღია ჩემპიონატი საქართველოს წარმომადგენელთა სრული ტრიუმფით დამთავრდა — მათ 8 პრიზი მოიპოვეს.

სურათზე: ინდოეთის ღია ჩემპიონატის სამგზის ლაურეატი ა. ივანოვა.

ფოტო ი. იუნაევისა.



ახალი წლის წინ ქ. უფაში მწყობრში ჩადგა „ნეფტიანიკის" სპორტის სახახლე, რომელიც ააგო ადგილობრივმა ნავთობგადამმუშავებელმა ქარხანამ. აქ სპორტში მეცადინეობის შესანიშნავი პირობებია: სპორტთამაშობათა, ძალოსნობის დარბაზები, საშხაპეები, დამხმარე სათავსოები და სხვ.

სურათზე: სპორტთამაშობათა დარბაზში მიმდინარეობს კალათბურთელთა მატჩი.

ფოტო ბ. კლიპინიცერისა (სატაუ).

ახალი ამბები

● **ჟენევა**, 9 იანვარი. იუგოსლავიის სპორტული გაზეთის „სპორტის" მიერ დაწესებულ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მესამედ გაიმარჯვეს ბელგრადის „პარტიზანის" წყალბურთელებმა. გენუის „პრო როკოსა" და იუგოსლავიელთა ორმა მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. ნეიტრალურ „მინდორზე" გადამწყვეტმა შეხვედრამ კი პარტიზანელებს მოუტანა წარმატება — 4:3.

● მოსკოვი, 9 იანვარი. აქ დამთავრებულ ორჭიდელთა შეჯიბრებაში I იყო პერმელი მოთხილამურე, სტუდენტი ა. ნოსოვი. გამარჯვებულის შედეგია 472,66 ქულა.

● სტოკჰოლმი, 9 იანვარი. ქალაქ სუნდსვალის ახალ დახურულ საციგურაოზე გამართული პირველი მატჩი სენსაციური შედეგით დამთავრდა. ვოსკრესენსკის „ხიმიკმა" დაამარცხა შვეციის ჰოკეისტთა ნაკრები — 7:3. „ტრე კრუნერი" იმ შემადგენლობით გამოდიოდა, რომელიც ამჟამად ემზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის. თავიდანვე ინიციატივა ხელთ იგდეს საბჭოთა ჰოკეისტებმა და უკვე II პერიოდის წინ ანგარიში 6:1 იყო „ხიმიკის" სასარგებლოდ.

● **ოსლო**, 9 იანვარი. **საბჭოთა მოციგურეების წარმატებით აღინიშნა ქ. გიევიკში გამართული ასპარეზობა. მოსკოველმა ვ. კაპლანმა მოიგო 500 (41,8) და 3000 (4.36,1) მეტრზე რბენა. ოლიმპიური ვერცხლის მედლის მფლობელი, ივანოველი ი. ეგოროვა I იყო 100 მეტრ დისტანციაზე — 1.36,7, სვერდლოვსკელი ვ. სტენინა — 3000 მეტრზე რბენაში — 5.17,1.**

● ნაირობი, 9 იანვარი. ცნობილმა კენიელმა სტაიერმა კ. კეინომ მოიგო რბენა 6 მილზე — 30.07,3. თუმცა კენიელის შედეგი 3 წუთზე მეტით ჩამორჩება მსოფლიო მიღწევას სტადიონის ბილიკებზე, კეინოს მწვრთნელი კმაყოფილია. საქმე ისაა, რომ შეჯიბრება ჩატარდა ტომპსონ ფოლსის მახლობლად მთებში, ზღვის დონიდან 2360 მეტრზე. ამ „მექსიკურ სიმაღლეზე" კეინო და დანარჩენი მორბენლები კარგად გრძნობდნენ თავს. სწორედ აქ, ტომპსონ ფოლსში დაამთავრებენ მზადებას 1968 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის კენიელი სპორტსმენები.

ზონალური ტურნირი იუგოსლავიაში

10 იანვარს ვრნიაჩკა-ბანიაში (იუგოსლავია) დაიწყო მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის ზონალური შეჯიბრება, საიდანაც საზონათშორისო ტურნირში სამი გამარჯვებული დაიშვება.

ტურნირში თამაშობენ: დიდოსტატები ივკოვი, მატანოვიჩი (ორივე — იუგოსლავია), პახმანი (ჩეხოსლოვაკია), ოლაფსონი (ისლანდია), ლენდიელი (უნგრეთი), გეორგიუ (რუმინეთი), ბობოცოვი (ბულგარეთი), საერთაშორისო ოსტატები იანსა (ჩეხოსლოვაკია), ფუქსი (გდრ), ზიუდემა (ჰოლანდია), ბარცაი (უნგრეთი), კოსტრო (პოლონეთი), ოსტატები ჰამანი (დანია), ჰინდლი (ინგლისი), ეისინგი (გფრ), სტრუნერი (ავსტრია), გლაუსერი (შვეიცარია), ბილიარი (თურქეთი) და ვიცანდიადესი (საბერძნეთი).

უახლოეს მეტოქეს 2 ქულით გაუსწრო

გრონინგენი, 10 იანვარი. საერთაშორისო სარბიელზე პირველი გამარჯვება მოიპოვა ყველაზე ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატმა ჭადრაკში, ხარკოველმა მ. შტეინბერგმა. ჭაბუკთა ტრადიციულ ტურნირში, რომელიც ჰოლანდიის ამ ქალაქში დამთავრდა, მან დაიკავა პირველი ადგილი, 7 შესაძლებლიდან 6 ქულა დააგროვა. ასპარეზობაში გამოდიოდნენ ავსტრიის, ბელგიის, გფრ-ის, დანიის, უნგრეთისა და ჰოლანდიის წარმომადგენლები. შტეინბერგმა უახლოეს მეტოქეს 2 ქულით გაუსწრო.

უკანასკნელ საათს...

◆ პრაღა, 10 იანვარი. „კანადაში ტურნე ვენის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ჩვენი მზადების ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენდა, — სამშობლოში დაბრუნებისთანავე განაცხადა ჩეხოსლოვაკიის ჰოკეის ცენტრალური სექციის თავმჯდომარემ. — მსოფლიო პირველობაზე ჩვენი ნაკრები იგივე შემადგენლობით გაემგზავრება, როგორითაც ატუმრობდა ჰოკეის სამშობლოს. შეიძლება გუნდს დაემატოს ზოგიერთი გამოცდილი მოთამაშე".

◆ **ელვერუმი**, 10 იანვარი. **ნორვეგიის ამ ქალაქში გაიმართა ხელბურთელთა საერთაშორისო შეხვედრა. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე სსრ კავშირის ნაკრები შეხვდა ადგილობრივ გუნდს და გაიმარჯვა — 32:18.**

◆ ჰელსინკი, 10 იანვარი. ალანის თასის მფლობელებმა — კანადის კლუბ „დრამჰელერ მაინერსის" ჰოკეისტებმა განმეორებით მატჩში რევანში აიღეს ფინეთის ნაკრებთან შეხვედრაში — 5:4.

◆ **მეხიკო**, 10 იანვარი. მექსიკის ნაკრებთან მარცხის შემდეგ შვეიცარიის ფეხბურთელთა ნაკრები კვლავ შეხვდა მასპინძლებს. ამჯერად წარმატება წილად ხვდათ შვეიცარიელებს — 2:0 (1:0).

XXXIV
ფინალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ სმისლოვმა

თამაშის დაწყებიდან ორი საათიც არ იყო გასული, რომ კროგიუსმა ყაიმი შესთავაზა გუფელდს. ოსტატი მცირე ხნით ჩაფიქრდა — პოზიცია საბრძოლო სულისკვეთებით გახლდათ ალსავსე, მაგრამ ბოლოს მაინც დიდოსტატის წინადადებამ გადაწონა.

ასე დაიწყო გუშინწინ VIII ტური, რომელმაც საბოლოოდ ყაიმების თავისებური რეკორდი დაამყარა.

ერთ საათს არ გაუვლია და ლეინ — გიპსლისის პარტიის გასწვრივ დემონსტრატორებმა „ყაიმი" გამოაკრეს. მართალია, მეტოქეებმა მხოლოდ 22 სვლა გააკეთეს, მაგრამ თამაში ეტლების ენდშპილში გადასულიყო. ლეინს ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მოგების გზები კი არ ჩანდა.

ლიბერზონმა და სავონმა თითქმის ყველა ფიგურა გეგმიანად გაცვალეს და ყაიმი გარდუვალი აღმოჩნდა.

როცა კორჩნოი — ბრონშტეინის შეხვედრაც დაზავებით დამთავრდა 21-ე სვლაზე, დარბაზს ჩურჩულმა გადაუარა. ყაიმი ლოგიკური შედეგი იყო დიდოსტატთა პარტიისა, მაგრამ მაყურებელი მაინც უკმაყოფილო დარჩა.

გულშემატკივრები კიდევ უფრო აზმაურდნენ, როცა სიცოცხლით სავსე პოზიციებში დაზავდნენ გელერ—პოლუგაევსკი და ოსნოს — ტაიმანოვი.

ყაიმზე ნაადრევი შეთანხმების წინააღმდეგ შემოღებული სანქცია (30 სვლამდე დაზავება მსაჯების დაუკითხავად აკრძალულია) ამ ჩემპიონატზე არ გაავრცელეს. ეს გასაგებიცაა, — ჩვენი მოჭადრაკეები მუდამ გამოირჩეოდნენ მებრძოლი სულითა და უშეღავათო თამაშით. მაგრამ მათ ყოველთვის როდი შეუძლიათ ერთნაირი განწყობით ბრძოლა. ყაიმი ერთგვარი შესვენებაა, მით უმეტეს, რომ წინ გადამწყვეტი შეხვედრებია. ჩვენ არ ვამართლებთ „დიდოსტატურ ყაიმებს", მაგრამ ამ ტურნირის მნიშვნელობა (შერჩევითი ხასიათი) თავის დაღს აჩნევს ასპარეზობას.

სუეტინი და ნეი თავიდანვეართულებდნენ პოზიციას, მაგრამ ვერც ერთი რომ ვერ დაეუფლა ინიციატივას, თამაში გაამარტივეს, სვლები გაიმეორეს და ყაიმის ნავთსაყუდარს მიადგნენ.

პარტერი აივსო... ტურნირის მონაწილეებით.

უკმაყოფილო მაყურებლები მხოლოდ სმისლოვმა გაახარა.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი დარბაისლურად უტევდა ხოლმოვის ლაზიერის ფრთას. სოჭელი დიდოსტატის ფიგურებს ასპარეზი შეეზღუდათ, რაც სმისლოვმა ვირტუოზულად გამოიყენა. მან შეუტია მეტოქის ცენტრალურ პაიკს, რომლის დაცვა შეუძლებელი აღმოჩნდა. ამ პაიკის დაკარგვის შემდეგ ხოლმოვმა ბევრი იფიქრა და... პარტია გადაიდო. ეს იქნება ხოლმოვის პირველი დამარცხება.

კიდევ ერთი ყაიმი, ამჯერად ვასიუკოვ—დოროშკევიჩის შეხვედრაში. მეტოქეებმა ცაიტნოტში სვლების გამეორება ამჯობინეს.

— ძალიან უფერული ტური იყო. თითქოს ქალები ხომ უფრო მშვიდობისმოყვარული ვართ, მაგრამ ყაიმების ტური არასოდეს გვქონია, — თქვა ნონა გაფრინდაშვილმა. — თამაში იმდენად მოსაწყენი იყო, რომ მიშა ტალი არც ერთ დაფასთან არ შეჩერებულა.

მართლაც, რა უცნაური დღე იყო!

თ. ბიორბაძე.

სურათზე: დ. ბრონშტეინისა (მარცხნივ) და ვ. კორჩნოის შეხვედრა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

გუშინ...

მოჭადრაკე ვაჟთა XXXIV საკავშირო ჩემპიონატში გადადებული პარტიების დამთავრებისას ლეინმა უზუსტესი თამაშით გუფელდის მეფის მცდარი მანევრი გამოიყენა და 103-ე სვლაზე გაიმარჯვა. სამაგიეროდ, გუფელდმა გამარჯვებით დააგვირგვინა პარტია სუეტინთან. მესამე გადადებულ პარტიაში გუფელდი თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეუთანხმდა კორჩნოის.

სმისლოვმა ხოლმოვთან ჩვეული სიზუსტით ითამაშა მხედრების ენდშპილი და გაიმარჯვა. გიპსლისმა უნაკლოდ გამოიყენა პოზიციური უპირატესობა გურგენიძესთან და მოიგო პარტია. [illegible] ნიკოლაევსკიმ პირველი დამარცხება აგემა ოსნოსს, ხოლო ვასიუკოვს ამ ტურნირში მეორედ ათქმევინა უსიამოვნო სიტყვა: „გნებდები".

გვიან საღამომდე გაგრძელდა ტაიმანოვ — ვასიუკოვის შეხვედრა, რომელშიც ლენინგრადელს ზედმეტი პაიკი ჰქონდა. ვასიუკოვმა შეუპოვარი დაცვით სასურველ ყაიმს მიაღწია.

გაირკვა ლიდერთა ჯგუფი, რომელშიც 8 ტურის შემდეგ არიან: ა. ლეინი (6 ქულა), ე. გელერი, დ. ბრონშტეინი, ვ. კორჩნოი, ნ. კროგიუსი (5 ქულა თვითეულს), ა. გიპსლისი, რ. ხოლმოვი, მ. ტაიმანოვი (4,5 ქულა თვითეულს), ვ. სმისლოვი, ლ. შტეინი, ა. სუეტინი (4 ქულა თვითეულს).

დღეს მოჭადრაკეები ისვენებენ.

სპორტული ქუთაისი

ზამთრის არდადეგების პერიოდში

სისხლსავსე სპორტული ცხოვრება ჩქეფს ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში. ამინდი კარგია და ნორჩი ფიზკულტურელები სუფთა ჰაერზე ვარჯიშობენ. პარკის დირექცია ხშირად აწყობს ტურისტულ ლაშქრობებსა და სპორტულ შეჯიბრებებს პიონერებისთვის. გაიმართა, მაგალითად, მაგიდის ჩოგბურთელთა საახალწლო ტურნირი, რომელშიც მე-15 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე პ. კირიაკიდიმ გაიმარჯვა. შაშში პირველობა დ. ირემაძემ დაისაკუთრა, ჭადრაკში — ქ. ღლონტმა.

მაგიდის ჩოგბურთელებმა მოაწყეს სამატჩო შეხვედრები 33-ე პროფტექნიკური სასწავლებლისა და I სკოლა-ინტერნატის გუნდებთან. ერთეულთა შეხვედრებში წააგეს, მაგრამ წყვილთა ასპარეზობაში გამარჯვება იზეიმეს.

ქ. იობიძე.

წარმატების საწინდარი

ახალ წელს კარგი მაჩვენებლებით შეხვდა ქუთაისის 33-ე პროფტექნიკური სასწავლებლის სპორტული კოლექტივი (დირექტორი გ. მაჩიტაძე, ფიზკულტურის ინსტრუქტორი გ. ახვლედიანი). ამ მიღწევებზე ციფრობრივი მაჩვენებლებიც მოგვითხრობს: შარშან აქ მომზადდა 1 სპორტის ოსტატი (გ. იმერლიშვილი — თავისუფალ ჭიდაობაში), 5 — პირველი, 58 — მეორე, 188 მესამეთანრიგოსანი, 112 მსაჯი, 113 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი. ეს ბევრად სჭარბობს გეგმას. სასწავლებლის სპორტსმენები დიდი წარმატებით გამოვიდნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საქალაქო სპარტაკიადაში. მძლეოსნებმა და ფრენბურთელებმა თავი გამოიჩინეს თბილისში გამართულ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში, სადაც გუნდური II ადგილი დაიკავეს.

ფიზკულტურის ინსტრუქტორი გ. ახვლედიანი მთელ ცოდნასა და გამოცდილებას ახალგაზრდობასთან მუშაობას ახმარს. მისი დიდი წვლილიც არის, რომ ახლა სასწავლებელს აქვს ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. საზოგადოებრივ საწყისებზე ნაყოფიერად მუშაობენ კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, შაშის, მძლეოსნობის სექციები, რომლებსაც ენთუზიასტები ი. ხმალაძე, ზ. ორმოცაძე, დ. შალამბერიძე, ს. ისაკაძე, ი. ჟორჟოლიანი ხელმძღვანელობენ.

ამ კოლექტივის 100-ზე მეტი წევრი ქალაქის სპორტულ სექციებშია ჩაბმული. ახვლედიანის თაოსნობით ეწყობა ბევრი საინტერესო შეჯიბრება სხვადასხვა სახეობაში, ტურისტული ლაშქრობები. ხშირად ატარებენ შეხვედრებს ავეჯის ფაბრიკის, ელექტრომექანიკური ქარხნის, პიონერთა და მოსწავლეთა პარკის სპორტულ კოლექტივებთან. ეს შეჯიბრებები დიდად უწყობს ხელს ახალბედების დაოსტატებას.

ფიზკულტურის ინსტრუქტორს მხარში უდგას და დიდ დახმარებას უწევს აქტივი. უნდა დავასახელოთ სამნეო ნაწილის გამგე ვ. ყუფარაძე, მოჭიდავეთა მწვრთნელი ვ. ჯიჯიაძე, მოწინავე სპორტსმენები ზ. ორმოცაძე, დ. [illegible] ნ. გოდერიძე და სხვ.

ი. კოკუაშვილი.

საქართველოს სპორტკავშირში

საგარეჯოელებმა უკეთ უნდა იმუშაონ

ახლახან საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს საგარეჯოს სპორტკავშირის მუშაობის საკითხი. აღინიშნა, რომ საგარეჯოში ერთგვარი მუშაობაა ჩატარებული, მაგრამ ნაკლი მაინც უფრო მეტია, ვიდრე წარმატება. რაიონის სპორტკავშირის პრეზიდიუმის (თავმჯდომარე მ. ელერდაშვილი) სხდომები იშვიათად ტარდება, არ მსჯელობენ ფიზკულტურის კოლექტივების საქმიანობის, მასობრივ-სპორტული, საავიტაციო-პროპაგანდისტული, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის აქტუალურ საკითხებზე და სხვ. რაიონის სპორტულ ღონისძიებათა 1966 წლის კალენდარული გეგმიდან მხოლოდ 4 ასპარეზობა გაიმართა და ისიც სათანადოდ არ გაფორმებულა. ამას გარდა, სპორტკავშირთან არ არის შექმნილი სპორტის სხვადასხვა სახეობის ფედერაციები, მსაჯთა კოლეგიები, მწვრთნელთა საბჭოები, ქალთა შორის სპორტული მუშაობის კომისია და სხვ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რაიონში არ არის არც ერთი რამდენადმე ძლიერი ფიზკულტურული კოლექტივი.

საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმმა აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მიიღო სათანადო დადგენილება.

როგორ ვისწავლოთ სიგრძეზე ხტომა

მეთოდური წერილი

შარშან ჩვენმა გაზეთმა უკვე გამოაქვეყნა წერილები სკოლებში ბირთვის კვრისა და თარჯრბენის სწავლების მეთოდიკაზე (№ 32, № 62). რედაქციას მიზანშეწონილად მიაჩნია გააგრძელოს კონსულტაციები საპროგრამო სახეობების სწავლებაში.

დღეს ფიზაღზრდის მასწავლებლებს ვთავაზობთ გამორბენით სიგრძეზე ფეხებმოხრილი ხტომის სწავლების მეთოდიკას.

• • •

გამორბენით სიგრძეზე ხტომა 4 ფაზად იყოფა: გამორბენი, არეკნი და ფრენი, ფრენში სხეულის მდგომარეობა და მოძრაობა, დახტომი. ეს კომპონენტები ცალ-ცალკე განხილვის საგანია.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ ხტომის დანარჩენი ფაზების დაუფლებას გამორბენისა და არეკნის შესწავლა უნდა უსწრებდეს. მერე ყურადღება გადაგვაქვს დახტომის ათვისებაზე, ბოლოს კი მთლიანად ნახტომის შესწავლაზე უნდა გადავიდეთ. მაგრამ, სწავლების I ეტაპს, როგორც წესი, თან სდევს შეცდომები ტექნიკაში, ამიტომ, კურსი რომ დამთავრდება, მისი სრულყოფისთვის უნდა ვიზრუნოთ.

სიგრძეზე ხტომის სწავლების მეთოდიკის დასაუფლებლად აუცილებელია დაწვრილებით შევჩერდეთ ყველა ვარჯიშზე, განვმარტოთ თვითეულის მნიშვნელობა და მივუთითოთ მათი სწორად შესრულების ძირითად მომენტებზე.

ნახატი № 1 გვაცნობს მხტომელის სასტარტო მდგომარეობასა და დგომიდან გამორბენის დასაწყისს. ფეხები ერთიმეორისგან 8-10 სანტიმეტრზეა (ტერფის სიგანეზე). სპორტსმენი ხელებით ეყრდნობა მუხლებს და წინ იხრება, ვიდრე წონასწორობას დაკარგავდეს, რის შემდეგ იწყებს რბენას.

ეს ხტომის იმდენად არსებითი ნაწილია, რომ მის შეუსწავლელად მთლიანი ვარჯიშის შესრულებაზე გადასვლა დაუშვებელია. ამ მიზნით გთავაზობთ, პირველ ყოვლისა, 1-ა ნახატს, რომელიც არეკნის ადგილებს გვაცნობს.

სასკოლო დარბაზში, ან ეზოში უნდა დავხაზოთ მეტრის სიგანისა და 80 სანტიმეტრის სიგრძის (გამორბენის მიმართულებით) სწორკუთხედი, რომელიც შემდეგ 20-20 სმ-ის სიგანის 4 ნაწილად (ხაზად) იყოფა. დანაყოფებს სხვადასხვაფერად ვღებავთ (თეთრად და რუხად), რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს იოლად განსაზღვროს მოსწავლის არეკნის ადგილი.

V კლასის მოსწავლეები ხტებიან ნებისმიერი ხაზიდან. VI კლასის მოსწავლეები სამ ხაზს იყენებენ. VII კლასისა — ორს, მერვეკლასელები კი ბოლო ხაზიდან უნდა ხტებოდნენ, როგორც ეს შეჯიბრებაშია მიღებული.

თუ მეცადინეობას VI კლასთან ვატარებთ, I ხაზი უნდა დაიფაროს რეზინით, თუ უფრო მაღალი კლასის ბავშვებს ვავარჯიშებთ, რეზინის საფარიც შესაბამისად შემდეგ ხაზზე უნდა გადავიტანოთ.

გამოსარბენი მანძილი უნდა მოვნიშნოთ V კლასელებისთვის მეორე, VI კლასის მოსწავლეებისთვის — მესამე, VII და VIII კლასელებისთვის — მეოთხე ხაზიდან, როგორც ნახატზეა ნაჩვენები. საორიენტაციო გამოსარბენი მანძილი, რომელიც ტერფით იზომება, ესაა:

კლასი	6 ნაბიჯი	8 ნაბიჯი	10 ნაბიჯი	12 ნაბიჯი	14 ნაბიჯი	14 ნაბიჯი
5	28—30	39—41	50—52	62—64	—	—
6	29—31	40—42	51—53	63—65	76—78	—
7	30—32	41—43	53—55	66—68	97—81	—
8	31—33	43—45	55—58	68—70	82—84	96—98

ამ შემთხვევაში მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად სიმაღლის მიხედვით. ჯგუფის წარმომადგენელი გამოსარბენ მანძილს ტერფით ზომავს, ვინაიდან გამორბენის მოცულობა ტერფის ზომაზეა დამოკიდებული.

შემდეგ შეიძლება 2-3 გარბენი შევასრულოთ ნაბიჯთა საჭირო რაოდენობის დაცვით, მერე კი გადავდივართ არეკნისა და აფრენის შესწავლაზე.

ნახ. № 2. 2-4 ნაბიჯში გამორბენით ვარჯიში იწყება სვლით და მერე გამორბენით. მოძრაობისას ყურადღება უნდა მივაქციოთ ხელების მდგომარეობას, ვამჭნევი ფეხის სხვასახელა ხელი მოხრილი გაგვაქვს წინ, მეორე კი მოღუნული — განზე (იდაყვი მხარზე ოდნავ დაბლაა). მკერდი ამოზნექილია, თავი სწორად გვიჭირავს.

შემდეგი ელემენტი მე-3 ნახატზეა აღბეჭდილი. მაღალი შორსხტომი. სპორტსმენი 6-ნაბიჯიანი გამორბენით ახტება 60 სანტიმეტრის სიმაღლის თარჯს (ან თამასას), რომელიც არეკნის ხაზიდან 1,20; 1,40; 1,60 მეტრითაა დაშორებული, კლასების მიხედვით (გოგონებისთვის ეს მანძილი შეიძლება შემცირდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად მომზადებულია მხტომელი) განსაკუთრებულ ყურადღებას ფრენის შესრულებას ვაქცევთ.

დახტომის სწავლებას გვიადვილებს მე-4 ნახატი. ეს ვარჯიში უნდა შესრულდეს 2, მერე კი 4 და 6 ნაბიჯში, უთუოდ ლეიბზე (სასურველია, ორმაგზე). როგორც ნახატი გვიჩვენებს, მხტომელს ფეხები ერთად და თითქმის გაჭიმული უნდა ეჭიროს და მხოლოდ საყრდენზე ქუსლებით შეხებისას მოხაროს. თავდაპირველად შეიძლება მოსწავლე ლეიბზე უბრალოდ, ჯდომითაც დახტეს.

მე-5 ნახატი ფეხებმოღუნული ხტომის მთელ ფაზას გვიჩვენებს. ვარჯიში სრულდება ჯერ 6-ნაბიჯიანი გარბენით ოთხჯერ ან ექვსჯერ, მერე კი რვანაბიჯიანი გამორბენით — ამდენჯერვე და ა. შ. ერთი მეცადინეობისას ყველა გამორბენით ხტომაში ვარჯიში სასურველი არ არის. უმჯობესია მოსწავლეებს ავათვისებინოთ ორი-სამი მომიჯნავე გამორბენი, რათა გარკვეულ რიტმს მივაჩვიოთ. გარბენის ზრდასთან ერთად კი სისწრაფე მატულობს, რამაც შეიძლება სწავლების პროცესზე უარყოფითად იმოქმედოს. ხტომის ტექნიკის მთლიანად ათვისების შემდეგ მის სრულყოფაზე უნდა ვიზრუნოთ, საამისოდ კიდევ 2 ვარჯიშს გთავაზობთ.

ნახ. 6 გვიჩვენებს არეკნისა და აფრენის სრულყოფას. იგი მიიღწევა მაღალი შორი ნახტომის შესრულებისას ორ თარჯზე, რომელთაგან წინა უფრო დაბალია.

დახტომზე ყურადღების გამახვილებისთვის (რათა მოვარჯიშემ ფეხები ნაადრევად არ დაუშვას) განსაზღვრულ ადგილზე მიწის პირიდან 10-15-20 სმ სიმაღლეზე გააბით თამასა (ჯოხს თოკი, ბინტი, ღვედი) ჯერ თავისუფლად, მერე კი გაჭიმეთ.

ვარჯიშების თანმიმდევრობა V კლასში დაახლოებით ასეთი უნდა იყოს:

1-ლ გაკვეთილზე — ვარჯიში № 1, 2, 3; მე-2 გაკვეთილზე — № 1, 2, 4; მე-3 გაკვეთილზე — № 1 და 5 (6, 8, 10-ნაბიჯიანი გამორბენი); მე-4 გაკვეთილზე — № 6 (6, 8, 10-ნაბიჯიანი გამორბენი); მე-5 გაკვეთილზე — № 1 (იგივე გამორბენი); მე-6 გაკვეთილზე — № 5 (10, 12-ნაბიჯიანი გამორბენი); მე-7 გაკვეთილზე სრულდება გამორბენით სიგრძეზე ხტომა შეფასებით.

მოცემული ვარჯიშები გამორბენით სრულდება თამასიდან არეკნის პირობით. ამასთან, ყველა ვარჯიშისთვის აუცილებელია ამკვრელ ნაბიჯში ფეხის აჩქარებული დადგმა, 6 და 8 ნაბიჯით გამორბენის დახრილობა ნაკლებია და გამართვა 2-4 ნაბიჯის მერე იწყება. ბოლო 6 ნაბიჯი სრული და თანაბარი უნდა იყოს.

რბენისას ბარძაყი მაღლა აგვაქვს. ბოლოსწინა ნაბიჯი გარბენში ყველაზე გრძელი უნდა იყოს მენჯის წინ გატანის ხარჯზე. ბოლო აჩქარებულ ნაბიჯში კი თითქმის მთელი ტერფით ვეხებით მიწას ფეხის წვერზე დაუყოვნებლივ დაყრდნობით, ისე, რომ მუხლი ოდნავ იხრებოდეს. მენჯი ამ დროს წინ და მაღლა გადის. ფრენი სრულდება ხელების მოძრაობით, მკერდის ამოზნექით და მოხრილი ფეხის წინ და მაღლა თავისუფალი გაქნევით (ტერფის წინ მოძრაობის შეუფერხებლად). აღნიშნული პირობების შეუსრულებლობას მოსდევს შეცდომები: ჯდომით მისვლა, უკმარი აფრენი (მქნევარა მოძრაობა დაუმთავრებელია), ფრენის დროს ტრიალი (თუ მუხლის სახსარი შეკრულია და მქნევარა ფეხის ტერფი თავისუფლად არ მიდის წინ). დახტომი სწორად შესრულდება, თუ ბარძაყი 90 გრადუსამდეა აწეული (ხტომისას მოკეცვა ხდება ფეხისა და მხრების შემხვედრი მოძრაობით). შეცდომაა მხრის დახრა და აქედან გამომდინარე, ფეხის დაშვება. თუ ხტომის ჩვევას წინა გარბენებით არ განვამტკიცებთ, სწავლების პროცესის დაჩქარება დაუშვებელია.

როცა მოსწავლე სრული გამორბენით შეასრულებს იმ ხტომას, რომელსაც გთავაზობთ (მეხუთეკლასელები 12 ნაბიჯიდან, მეექვსე-მეშვიდეკლასელები — 14 და მერვეკლასელები — 16 ნაბიჯიდან), სწავლების პროცესი დამთავრებულია.

გამორბენის ზომა პირობითია.

წინაღობის სიმაღლე, არეკნის ადგილიდან მისი დაშორება და სხვა, აღსაზრდელთა მომზადების დონის შესაბამისად უნდა დავადგინოთ. მასწავლებელმა გამორბენის არე თავად არ უნდა გაზომოს (ეს მთლიანად შეცვლის სურათს).

ჩვენ შევეცადეთ მოკლედ გადმოგვეცა სიგრძეზე ხტომის სწავლების მეთოდიკა, მაგრამ ეს არავის უშლის ხელს თავადაც შეარჩიოს დამხმარე ვარჯიშები.

ვ. ლაგუნსკი,
მძლეოსნობის მწვრთნელი.



ნახ. 1.



ნახ. 1-ა.



ნახ. 2.



ნახ. 3.



ნახ. 4.



ნახ. 5.



ნახ. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] 50 საიუბილეო სპარტაკიადისაკენ

დინამოელები მიუწვდომელნი იყვნენ





1500-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა სოხუმის IV საიუბილეო სპარტაკიადაში. სეზონის ამ უდიდეს ტურნირში ძალას ცდიდნენ „დინამოს", „სპარტაკის", „განთიადის", „ლოკომოტივის", განათლების განყოფილების, სუბტროპიკული მეურნეობის და პედაგოგიური ინსტიტუტების კოლექტივები. პროგრამაში 14 სახეობა შედიოდა.

მიწყნარდა სასტარტო პისტოლეტების ქუხილი, მსაჯების სასტვენის ხმა, მსაჯთა კოლეგიამ შედეგები შეაჯამა. საქალაქო ასპარეზობაში გამარჯვება და აფხაზეთის სპარტაკიადაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა „დინამოს" კოლექტივმა (თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მ. თურქია), რომელიც ორგანიზებულად გამოვიდა და 9 სახეობაში დაისაკუთრა პირველობა. დინამოელთა წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ვეტერანებმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. მაჩკალიანმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელებმა ნ. ემუხვარმა, ა. კერსელიანმა, ვ. მიხაილოვმა და სხვებმა.

გუნდის ნაყოფიერი მზადებისა და გამარჯვებისკენ დიდი სწრაფვის შედეგი გახლდათ ისიც, რომ მოცურავეებმა ლ. მარღანიამ და ლ. ანდრეევამ, ძალოსნებმა ა. ჭოლოკიანმა და ფ. ასლანიანმა, ველოსიპედისტებმა ვ. აბშილავამ და ო. დიჩკომ, მსროლელებმა ლ. ალიხანოვამ და მ. პაპავამ, მოკრივეებმა ა. გოგიამ და ვ. მარტიროსიანმა, აფროსნებმა ხ. კაკულიდიმ და ს. ტაკმაზიანმა, მოჭიდავეებმა ა. ჯიქიამ და დ. კოპალიანმა, მძლეოსნებმა ა. ბარგანჯიამ, ი. წულუკიძემ, ლ. შაბანოვამ, ს. პოლმა, ლ. ლუგოვამ და სხვებმა სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს.

საერთო II ადგილზე გავიდა სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის (ფიზაღზრდის კათედრის გამგე ვ. აბულაძე) ნაკრები. ეს ამ გუნდის პირველი დიდი წარმატებაა. სასიამოვნოა, რომ ინსტიტუტში სპორტი აღმავლობის გზაზეა. ბოლო წლებში ამ უმაღლესი სასწავლებლის დირექციამ სათანადო ყურადღება დაუთმო მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობას. ააგეს მოედნები, აშენებენ სპორტდარბაზსა და სტადიონს, სტუდენტებმა მდინარე კელასურის პირას საკუთარი ძალებით მოაწყვეს მარტივი ტიპის ბაზები — სპორტთამაშების მოედანი და ფეხბურთის მინდორი. სოხუმის სპარტაკიადაში უძლიერესი იყვნენ ინსტიტუტის ფრენბურთელი და ხელბურთელი ვაჟები. სხვა სახეობათა პირად ჩათვლაში ბევრმა სტუდენტმა ჩემპიონობა, ან საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

III ადგილზე გავიდა „სპარტაკი" (თავმჯდომარე შ. დვალაძე). ამ საზოგადოების სპორტსმენებმა ყველას აჯობეს თავისუფალ ჭიდაობასა და კრივში, სამ სახეობაში კი II გუნდური ადგილები მოიპოვეს. მაგრამ მათგან მაინც მეტს ველოდით. ველოდით იმიტომ, რომ სპარტაკელთა განკარგულებაშია ქალაქის საუკეთესო ბაზები, დარბაზი და სპორტთამაშობათა მოედნები, რასაც, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ იყენებენ.

გაოცებას იწვევს „განთიადის" (თავმჯდომარე შ. ლომინაძე) ნაკრები გუნდების წარუმატებლობა. ერთ დროს ამ საზოგადოების მოცურავეები, წყალბურთელები, მოჭიდავეები, მოკრივეები და მოჭადრაკეები მოწინავენი იყვნენ. ახლა კი კარგი ტრადიცია დაკარგეს. „განთიადის" მძლეოსნებსა და ძალოსნებს სულაც არ მიუღიათ მონაწილეობა სპარტაკიადაში, სხვა სახეობებში კი ბოლო ადგილები დაიკავეს. საერთო გუნდურ ჩათვლაში „განთიადი" VI ადგილზე აღმოჩნდა.

გაკიცხვის ღირსია „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობა (თავმჯდომარე ქ. ზამბახიძე), რომელმაც ვერ შეძლო სრულფასოვანი გუნდების გამოყვანა და ბოლო ადგილს დასჯერდა.

ვ. სემიონოვი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

* * *

სურათებზე: ველოსპორტსა და ფრენბურთში შეჯიბრების მომენტები.

ფოტო ავტორისა.

საბჭოთა ჩოგბურთის საერთაშორისო ორბიტა

ამას წინათ აას-ის კორესპონდენტი შეხვდა ჩოგბურთის საკავშირო ფედერაციის პასუხისმგებელ მდივანს ვ. კოლეგორსკის და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე:

● როგორ აფასებთ განვლილი საჩოგბურთო წლის შედეგებს?

— შარშანდელისოდენი წარმატება საბჭოთა ჩოგბურთს არასდროს ჰქონია. ჩვენმა ლიდერებმა ნაწილობრივ შეძლეს განხორციელება იმისა, რაზეც დიდი ხანია ვოცნებობდით: დაიწყეს მსოფლიოსა და ევროპის უძლიერეს ჩოგბურთელთა დამარცხება როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა თამაშში, გაიმარჯვეს დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

სსრ კავშირის ვაჟთა გუნდმა ქაიროში მოიგო „ერების პრიზი", დაამარცხა რა ისეთი ძლიერი მეტოქეები, როგორიც ავსტრალიისა და აშშ-ის ეროვნული ნაკრების მოთამაშეები არიან. ჩვენმა საუკეთესო იუნიორებმა II ადგილი დაიკავეს გალეას თასის გათამაშებაში. ეს ასპარეზობა, ფაქტიურად, ევროპის ახალგაზრდა ჩოგბურთელთა პირველობაა.

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა, 22 წლის ა. მეტრეველმა სკანდინავიისა და ინდოეთის ჩემპიონობა მოიპოვა. იგი გახლავთ პრიზიორი საფრანგეთის ღია ჩემპიონატისაც, რომელიც, ფაქტიურად, მსოფლიო პირველობაა მიწის კორტებზე. მეტრეველმა ორჯერ გაიმარჯვა მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში. სსრ კავშირის ახალმა ჩემპიონმა წლის განმავლობაში დაამარცხა შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი, ესპანელი მ. სანტანა, აშშ-ის ჩემპიონი დ. რალსტონი, უნგრელი ი. გუიაში. სამივე მოთამაშე ხომ მსოფლიოს უძლიერესთა ათეულში შედის! ამას გარდა, მეტრეველმა აქტივში ჩაიწერა გამარჯვებები ჩოგბურთის ისეთ ვარსკვლავებთან, როგორიც არიან: ნ. პიეტრანჯელი (იტალია), მ. მალიგანი (ავსტრალია), რ. ტეილორი (ინგლისი).

საერთაშორისო ტურნირებში წარმატებით გამოდიოდა მეტრეველ—ლიხაჩოვის დუეტი. ამ ორმა საბჭოთა სპორტსმენმა დაამარცხა სახელგანთქმული ავსტრალიელები — რ. ემერსონი და ფ. სტოლე, — ამ ქვეყნის ნაკრების ძირითადი მოთამაშეები, რომელთაც მოიგეს შარშანდელი შეჯიბრება დევისის თასზე.

მეტრეველის შესანიშნავი თამაში შესაფერისად დაფასდა. ნიჭიერ ჩოგბურთელს სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა. 800-მდე საბჭოთა ჟურნალისტმა დაასახელა იგი ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენთა შარშანდელ ათეულში. ასეთი პატივი ჩვენში ჯერ არც ერთ ჩოგბურთელს არ ღირსებია.

უცხოელმა სპეციალისტებმა საბჭოთა ჩოგბურთელებიდან პირველი მეტრეველი შეიყვანეს ევროპის უძლიერეს მოთამაშეთა ათეულში (№№ 3-4), ხოლო „სპორტ ვ სსსრ"-ის რედაქციის აზრით, იგი მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულში მოხვედრის ღირსია.

სსრ კავშირის ახალმა ჩემპიონმა გ. ბაკშეევამ გაიმარჯვა სამ ცნობილ სპორტსმენთან — დ. ტეგარტთან (ავსტრალია), ქ. ნილენთან (გფრ) და კ. გრებნერთან (აშშ) ბრძოლაში.

ჩვენი ქვეყნის შარშანწინდელი ჩემპიონი ტ. სიმონი ინდოეთის ჩემპიონის სახელს ატარებს, იგი პოლონეთის პირველობის პრიზიორიცაა. ერთი წლის შესვენების შემდეგ კორტზე კვლავ გამოჩნდა ა. დმიტრიევა, რომელმაც შარშან დაისაკუთრა იუგოსლავიის „პირველი ჩოგნის" სახელი და მეორე იყო მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში. ვ. კოროტკოვი მსოფლიოს ჩემპიონია ჭაბუკთა შორის როგორც ბალახის, ისე მიწის კორტებზე. საერთაშორისო ტურნირებში პრიზები დაიმსახურეს, აგრეთვე, ვ. ეგოროვმა, თ. ლეიუსმა, ა. ივანოვმა, თ. კაკულიამ, მ. კულმა, ა. ივანოვამ და სხვებმა.

● როგორია საბჭოთა ჩოგბურთელების წლევანდელი საერთაშორისო კალენდარი?

— ძალზე ფართოა. წლეულსაც მივიღებთ მონაწილეობას დიდ შეჯიბრებებში — უიმბლდონის ტურნირში, საფრანგეთის, იტალიის, სკანდინავიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, აზიისა და სხვათა ღია ჩემპიონატებში, დევისისა და გალეას თასების გათამაშებებში. ბევრი შეხვედრა გვექნება ჩვენს მეზობლებთან — ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, გდრ-ის, იუგოსლავიის ჩოგბურთელებთან. ტრადიციის მიხედვით, ჩვენში გაიმართება ორი დიდი საერთაშორისო ტურნირი და ორივე რამდენადმე განსხვავებული იქნება წინა ტურნირებისგან. ზამთრის ასპარეზობას ჩავატარებთ არა მიწის კორტებზე, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა, არამედ ცსკა-ს ახალი საჩოგბურთო სასახლის ხის სარბიელზე. ტურნირის დღეებში მოეწყობა საბჭოთა და საფრანგეთის გუნდების ამხანაგური მატჩი, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს. ჩვენი საზაფხულო ტურნირი გადატანილია სექტემბრის შუა რიცხვებში, რადგან აგვისტოში ბევრი ჩვენი უძლიერესი ჩოგბურთელი ტოკიოს უნივერსიადისთვის მზადებით იქნება დაკავებული. ამას გარდა, საერთაშორისო ტურნირი მოეწყობა არა მოსკოვში, არამედ საქართველოს დედაქალაქ თბილისში, სადაც სექტემბრის თვეში ჩინებული ამინდი იცის.

ჩვენი ჩოგბურთელი ქალები საბჭოთა ჩოგბურთის ისტორიაში პირველად მიიღებენ მონაწილეობას „სუაბოს თასის" გათამაშებაში, რომელიც, ფაქტიურად, ევროპის ახალგაზრდა სპორტსმენთა პირველობაა. საფრანგეთში გამგზავრებამდე ისინი გამოვლენ ექვსი ქვეყნის ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში, რომელიც ხარკოვში ჩატარდება. დაგეგმილია საბჭოთა ჩოგბურთელების მონაწილეობა მონტე-კარლოს საგაზაფხულო ტურნირშიც.

● რით არის მნიშვნელოვანი წლევანდელი შინა შეჯიბრებების კალენდარი?

— წლის მთავარი ასპარეზობა სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის გუნდური და პირადი პირველობა იქნება. ამ ჩემპიონატებს წინ უსწრებს ბევრი შეჯიბრება რესპუბლიკების, ოლქების, მხარეთა, სპორტსაზოგადოებათა სპარტაკიადების პროგრამიდან. ეს ასპარეზობები კორტებზე მიიზიდავს ათასობით ჩოგბურთელს და ამ სახეობის ჩინებული აგიტაციაც იქნება.

ახალ დიდ სპორტულ შეჯიბრებებიდან დავასახელებ სსრ კავშირის ახალგაზრდა სპორტსმენთა (21 წლამდე) პირველობას, რომელიც სოჭს ჩატარდება ოქტომბრის თვეში, აგრეთვე, შესანიშნავი საბჭოთა ჩოგბურთელის ზ. ზიგმუნდის მემორიალს, რომელშიც უძლიერესი ოსტატები გამოვლენ.

● რას ელით წლევანდელი სეზონისგან?

— ჩოგბურთის შემდგომ გავრცელებას ჩვენს ქვეყანაში. ეს ლამაზი, მიმზიდველი და ათლეტური თამაში ფართოდ უნდა იყოს მისაწვდომი საბჭოთა ადამიანებისთვის. იმედი გვაქვს წლეულს ჩოგბურთში მომეცადინეთა რიცხვი სსრ კავშირში 80 ათას მიაღწევს, ეს კი მოგვცემს მეტ საერთაშორისო კლასის ოსტატს, ვიდრე ახლა გვყავს.

ვეტერანის ხსოვნის პრიზზე

ჩვენში კარგ ტრადიციად იქცა რესპუბლიკის „ბ" კლასის ფეხბურთელთა გუნდების ტურნირი გამოჩენილი ქართველი ვეტერანის, სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის ხსოვნის პრიზზე. ეს გათამაშება წინასასეზონო მზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. წლევანდელი ტურნირი ვეტერანის ხსოვნის პრიზზე დაიწყება 11 თებერვალს.

„დროშის" კონკურსის ლაურეატები

ერთ წელიწადს გასტანა ჟურნალ „დროშის" ეტიუდების შედგენის საკავშირო კონკურსმა, რომელშიც საჭადრაკო ეტიუდის ბევრმა გამოჩენილმა ოსტატმა მიიღო მონაწილეობა. ამას წინათ ჟურნალის რედაქციამ კონკურსის შედეგები შეაჯამა და საგანგებოდ ცალკე დასტამბა.

აი, რას გვამცნობს ჟიური (საერთაშორისო არბიტრი ა. გერბსტმანი და ვ. ნეიძე): სულ საკონკურსოდ წარმოდგენილი იყო 58 ეტიუდისტის 100-მდე ნაწარმოები. დასაჯილდოებლად შეირჩა 17 ეტიუდი.

I პრიზი მიენიჭა ოსტატ გ. ნადარეიშვილს (თბილისი), II — ოსტატ ა. კუზნეცოვს (მოსკოვი), III — ვ. კალანდაძეს (თბილისი), IV — ოსტატ ა. კუზნეცოვსა და ნ. კრალინს (საბჭოთა არმია), V — ოსტატ ვ. ბრონს (სვერდლოვსკი).

საპატიო შეფასება დაიმსახურეს: I, II, IV — ოსტატმა ე. პოღოსიანცმა (მოსკოვი), III — ვ. კალანდაძემ, V — ოსტატებმა ფ. ბონდარენკომ (დნეპროპეტროვსკი) და ა. კუზნეცოვმა (მოსკოვი), VI — ოსტატმა გ. ზახოდიაკინმა (მოსკოვი).

საქები შეფასება თანაბარ უფლებებში მიიღეს: გ. აფანასიევმა, ე. დვიზოვმა (მინსკის ოლქი, ქ. ჟოდინო), ოსტატმა ტ. გორგიევმა (დნეპროპეტროვსკი), ოსტატმა ა გრინმა (მოსკოვი), ვ. ისარიანოვმა (მოსკოვის ოლქი), გ. ნადარეიშვილმა, ე. პოღოსიანცმა.

პარალელურად მოეწყო საქართველოს ეტიუდისტების კონკურსიც. ლაურეატები გახდნენ: ზესტაფონელი ჯ. მახათაძე, რომელსაც პრიზი და I საპატიო შეფასება მიენიჭა, ხაშურელი გ. ამირხანოვი (მან მიიღო II და III საპატიო შეფასებანი) და აბაშელი ა. ყურაშვილი, რომლის ეტიუდმა საქები შეფასება დაიმსახურა.

კონკურსი მაღალ შემოქმედებით დონეზე ჩატარდა. ბევრი ეტიუდი უდავოდ დააინტერესებს კომპოზიციის სპეციალისტებსა და მოყვარულებს. ვბეჭდავთ ერთ-ერთ პრიზირებულ ეტიუდს.

ჯ. მახათაძე (ზესტაფონი).

თეთრები: **მფd1, კf6, პ-ბი: a2, h5 (4).**

შავები: **მფh6, პ-ბი: a3, d7 (3).**

თეთრები იწყებენ და იგებენ.

ჟიური წერს, რომ ამ ეტიუდის ავტორი „მთლიანად ახალბედა ეტიუდისტთა რიცხვს არ მიეკუთვნება. იგი საკმაოდ ფლობს შედგენის ტექნიკას, გააჩნია გარკვეული გემოვნება და ამასთანავე, როგორც პრაქტიკოს მოჭადრაკეს, მიდრეკილება აქვს საენდშპილო პოზიციებისკენ. ორივე მისი ეტიუდი გამოირჩევა ეკონომიურობით და დახვეწილი თამაშით. მართლაც ბრწყინვალეა მის პრიზირებულ ეტიუდში კუს პირველი სვლა".

1. კb2!! (1. კe7? d6 2. კ:d5 და ირკვევა, რომ შავები შემდგომში ითავისუფლებენ d7 უჯრაზე გამავალ გზას) 1. ... მფ:h5 2. კ:a3 მფg6 3. კb4! მფf6 4. a4 მფe6 5. a5 მფd5 (1. კe7-ის შემთხვევაში შესაძლებელი იყო მფd7 ყაიმით) 6. a6 მფc6 7. კa5! მოგებით.

ფეხბურთი

ევროპული ხუთეულები

ყოველი წლის მიწურულში ევროპის უდიდესი სპორტული გაზეთები ატარებენ სხვადასხვა სახის რეფერენდუმს. ბელგრადის „სპორტმა“ რეფერენდუმის თემად აირჩია ევროპული ფეხბურთი და ასეთი შეკითხვით მიმართა სპეციალისტებს:

● დაასახელეთ უძლიერესი გუნდი შარშანდელი შედეგების მიხედვით.

აი, პასუხებიც:

ა. ვან ემენსი (ამსტერდამი).
1. ინგლისი, 2. უნგრეთი, 3. პორტუგალია, 4. გფრ, 5. სსრ კავშირი.

ვ. ლიბერტი (სტოკჰოლმი).
1. ინგლისი, 2. გფრ, 3. პორტუგალია, 4. სსრ კავშირი, 5. იტალია.

ბ. ჯოი (ლონდონი).
1. ინგლისი, 2. გფრ, 3. პორტუგალია, 4. უნგრეთი, 5. ესპანეთი.

პ. ალბერი (პარიზი).
1. ინგლისი, 2. გფრ, 3. უნგრეთი, 4. სსრ კავშირი, 5. პორტუგალია.

პ. გატუ (რუმინეთი).
1. ინგლისი, 2. გფრ, 3. პორტუგალია, 4. უნგრეთი, 5. სსრ კავშირი.

ფ. შლატერი (ლოზანა).
1. ინგლისი, 2. გფრ, 3. იტალია, 4. პორტუგალია, 5. სსრ კავშირი.

გ. ნემეტი (ბუდაპეშტი).
1. ინგლისი, 2. გფრ, 3. პორტუგალია, 4. სსრ კავშირი, 5. უნგრეთი.

ვ. ვოლფი (ნიურნბერგი).
1. ინგლისი, 2. გფრ, 3. უნგრეთი, 4. პორტუგალია, 5. სსრ კავშირი.

ა. იასნიკოვი (სოფია).
1. ინგლისი, 2. გფრ, 3. პორტუგალია, 4. სსრ კავშირი, 5. უნგრეთი.

რ. რასილაინენი (ჰელსინკი).
1. ინგლისი, 2. გფრ, 3. პორტუგალია, 4. უნგრეთი, 5. სსრ კავშირი.

გ. ალექსანდროვიჩი (ვარშავა).
1. ინგლისი, 2. პორტუგალია, 3. გფრ, 4. უნგრეთი, 5. სსრ კავშირი.

LA REFORME DU TOUR
FAGOR
FORD
FAGOR

ამ ფოტოსურათს მოკლე, მაგრამ საინტერესო ისტორია აქვს. შარშან „ტურ დე ფრანსის“ მორიგი გათამაშების წინ, საფრანგეთის პროფესიულიველოსპორტის კავშირის გადაწყვეტილებით დოპინგი კანონგარეშედ იქნა გამოცხადებული. „ტურ დე ფრანსის“ მონაწილეებმა ველოსპორტის კავშირის ეს ნაბიჯი, პირად შეურაცხყოფად მიიღეს და პროტესტის ნიშნად რბოლის ერთ-ერთი ეტაპის წინ 1-წუთიანი გაფიცვა გამოაცხადეს.

• • •

სურათზე: „ტურ დე ფრანსის“ მონაწილეთა საპროტესტო გაფიცვა.

ფოტო „მირუარ დიუ ციკლიზმისა“ (საფრანგეთი).

ვიცე-პრეზიდენტის წერილი

1976 წელს სრულდება აშშ-ის არსებობის 200 წლისთავი და იქაურ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს დიდი სურვილი აქვს იმ წელიწადს ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება მიიღოს. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ჰუბერტ ჰემფრიმ ოლიმპიურ კომიტეტს გაუგზავნა წერილი და ამ საქმეში მხარდაჭერას დაჰპირდა.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ამერიკის შეერთებულ შტატებში უკანასკნელად ჩატარდა 1932 წელს (ლოს-ანჟელოსში), ზამთრისა კი — 1960 წელს (სკვო-ველიში).

ფეხბურთი

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

შოტლანდია: ჩემპიონმა ყინულზე გაიმარჯვა

ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა გლაზგოს „სელტიკმა“ განსაკუთრებული მონდომებით ჩაატარა. ამას ორი მიზეზი ჰქონდა: ის, რომ წინა ტურში გუნდმა პირველი დამარცხება განიცადა, და ისიც, რომ ტრიბუნებზე ისხდნენ იუგოსლაველი ჟურნალისტები, რომლებიც ზვერავდნენ „სელტიკს“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში იუგოსლავიის „ვოივოდინასთან“ მატჩის წინ. „სელტიკის“ მეტოქე ამჯერად „დანდი“ იყო. გლაზგოელებმა პირველ ნახევარში 4 „მშრალი“ გოლი გაიტანეს, ხოლო მატჩი საბოლოოდ მოიგეს ანგარიშით 5:1. თამაში ყინულით დაფარულ მინდორზე მიმდინარეობდა და ამასთან დაკავშირებით გლაზგოს „დეილი რეკორდმა“ დაწერა: „სელტიკმა“ დაამტკიცა, რომ ციგურებით ფიგურული სრიალის ოსტატიც არის“.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „დანდი იუნაიტედი“ — „ეირ იუნაიტედი“ 4:0, „კილმარნოკი“ — „კლაიდი“ 1:3, „პარტიკი“ — „ჰიბერნიენი“ 1:4.

აი, ლიდერებიც:

	თ.	ბ.	ქ.
„სელტიკი“	18	63:23	31
„გლაზგო რეინჯერსი“	16	50:15	25
„აბერდინი“	17	39:21	25

ჰოლანდია: „აიაქსი“ ლიდერობს

ჰოლანდიის ჩემპიონატის მორიგ ტურში ამსტერდამის „აიაქსმა“ მოუგო „ელინკვიიკს“ — 8:0. 3 გოლის ავტორია 19 წლის კრუიფი, რომელიც 20 გატანილი გოლით ლიდერობს სნაიპერთა სიას.

აი, ლიდერებიც:

	თ.	ბ.	ქ.
„აიაქსი“	17	69:17	30
„ფეიენოორდი“	17	44:15	27
„სპარტა“	17	24:15	24

ესპანეთი: ჩემპიონი ჩამორჩა

კვირას, ესპანეთის ჩემპიონატის XVI ტურის შეხვედრაში მადრიდის „რეალმა“ კადისში ფრეს მიაღწია ადგილობრივ „ელჩესთან“ — 1:1. ბარსელონაში „ესპანიოლმა“ მიიღო „რეალ სარაგოსა“. პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ — 1:1, მეორე ტაიმი „ესპანიოლის“ უპირატესობით აღინიშნა და გამარჯვებაც მას დარჩა — 2:1.

ჩემპიონმა — მადრიდის „ატლეტიკომ“ თავის მინდორზე მიიღო ბილბაოს „ატლეტიკო“. მადრიდელებმა გაიმარჯვეს — 3:1.

ვალენსიაში ადგილობრივმა „ვალენსიამ“ მოუგო „ლა კორუნიას“ — 5:1 და ამ გუნდის ცენტრფორვარდი ბრაზილიელი ვალდო 18 გატანილი გოლით ლიდერობს სნაიპერთა სიას. დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „გრანადა“ — „ლას-პალმასი“ 0:1, „საბადელი“ — „ერკულესი“ 5:2, „პონტევედრა“ — „სევილია“ 3:0, „კორდოვა“ — „ბარსელონა“ 2:1.

აი, ლიდერთა ხუთეულიც:

	თ.	ბ.	ქ.
„რეალი“ (მადრიდი)	16	27:13	26
„ესპანიოლი“	16	24:14	23
„ვალენსია“	16	39:16	22
„ბარსელონა“	16	31:16	19
„ატლეტიკო“ (მად.)	16	29:16	18

ინგლისი: „ლივერპული“ წინაა

შაბათს ინგლისის ჩემპიონმა „ლივერპულმა“ შინ დაამარცხა ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ — 2:0. ორივე გოლი „ვესტ ჰემის“ კარში გაიტანა ტომპსონმა.

ლონდონში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები: „არსენალი“ და „ტოტენჰემ ჰოტსპური“. „ტოტენჰემის“ უპირატესობა აშკარა იყო — 2:0.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ბლეკპული“ — „სანდერლენდი“ 1:1, „ჩელსი“ — „საუთჰემპტონი“ 4:1, „ლიდს იუნაიტედი“ — „ბერნლი“ 3:1, „ლესტერ-სიტი“ — „შეფილდ უენსდეი“ 0:1, „შეფილდ იუნაიტედი“ — „ფულჰემი“ 4:0, „სტოკ-სიტი“ — „ევერტონი“ 2:1, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „ნოტინგემ ფორესტი“ 1:2.

	თ.	ბ.	ქ.
„ლივერპული“	24	45:28	33
„მანჩესტერ იუნაიტ.“	24	49:33	33
„ნოტინგემ ფორესტი“	25	38:30	32
„სტოკ-სიტი“	25	45:31	31
„ჩელსი“	25	50:38	30

პორტუგალია: ეუსებიო მეორე ადგილზეა

ჩემპიონატის XIII ტურის მატჩში ლისაბონის „ბენფიკა“ შინ შეხვდა „ბეირა მარს“. ლისაბონელებმა გრასამ და ეუსებიომ ორჯერ აიღეს მეტოქის კარი — 2:0.

კოიმბრაში ადგილობრივი „აკადემიკა“ შეხვდა ჩემპიონს — ლისაბონის „სპორტინგს“. ერთადერთი გოლი გაიტანა „აკადემიკას“ ცენტრფორვარდმა ქორჟემ — 1:0. დანარჩენი მატჩების შედეგებია: „პორტო“ — „ლეიქსოსი“ 4:0, „ატლეტიკო“ — კუფ-ი 0:0, „ვიტორია“ — „ბელენენსესი“ 1:0, „სანჟოანენსე“ — „გიმარაისი“ 2:1, „ბრაგა“ — „ვარზიმი“ 1:1.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია ქორჟე (15 გოლი). ეუსებიო 14 გატანილი გოლით მეორე ადგილზეა.

	თ.	ბ.	ქ.
„აკადემიკა“	13	29:12	21
„ბენფიკა“	13	26:11	21
„პორტო“	13	26:11	18

იტალია: „ინტერი“ კვლავ ლიდერობს

ჩემპიონატის XV ტურის ცენტრალური მატჩი შედგა ნეაპოლში, სადაც თამაშობდნენ მილანის „ინტერნაციონალე“ და ადგილობრივი „ნაპოლი“. მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად ჩემპიონი წაგებას გადაურჩა — 0:0.

მილანში ადგილობრივი „მილანისა“ და „ტორინოს“ შეხვედრაში დაწინაურდნენ სტუმრები — 1:0, მაგრამ მატჩის მიწურულში მილანელმა რივერამ ანგარიში გაათანაბრა — 1:1. დანარჩენი შეხვედრების შედეგებია: „ლაციო“ — „ბოლონია“ 2:1, „სპალი“ — „რომა“ 1:0, „ვენეცია“ — „ლეკო“ 2:0, „ატალანტა“ — „ფიორენტინა“ 0:0, „იუვენტუსი“ — „მანტოვა“ 1:1, „ფოჯა“ — „ბრეშია“ 0:1. „ლანეროსი“ — „კალიარი“ 0:2.

საუკეთესო სნაიპერია ქ. ჰამრინი („ფიორენტინა“) — 11 გოლი.

	თ.	ბ.	ქ.
„ინტერნაციონალე“	15	26:8	23
„იუვენტუსი“	15	20:7	22
„კალიარი“	15	20:5	20
„ფიორენტინა“	15	27:12	20
„ნაპოლი“	15	16:9	20

საკუთარი ინფორმაცია

პირველი ნაკვალევი...

სხვათა შორის

გამჭრიახი მეკარე

ბრაზილიური საფეხბურთო კლუბის „ფკ პორტახოს“ მეკარე როსომ სახელი გაითქვა იმით, რომ ხელიდან არასოდეს უშვებდა აღებულ ბურთს. თუ მეკარე მიწვდებოდა ბურთს, იგი მას ხელზე ჰქონდა „მიწებებული“. ეს ამოცანა ამ ბოლო ხანებში გაიხსნა: ბურთი როსოს ხელზე ეწებებოდა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. თამაშის წინ მეკარე ხელებზე ისვამდა რაღაც წებოვან ნივთიერებას, რომელსაც მხოლოდ ადგილობრივი მაცხოვრებლები იცნობენ. ახლა იმ გუნდებმა, რომლებმაც „პორტახოსთან“ მატჩებში დამარცხება განიცადეს, მოითხოვეს გაუქმდეს ამ თამაშების შედეგები.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 ეკ 03917